დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27-28 ოქტომბერი, 2022

დასკვნის თარიღი
9.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 18

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 25

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 29

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 36

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი -
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212 693 049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი სანაძე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, შპს სინათლე, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Vehicle Maintenance and Expertise
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor in Vehicle Enginerring
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტირებული N1219694; 22/12/2020
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის და ტრანსპორტის“ დეპარტამენტში. პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან. ხანგრძლივობა შეადგენს 8 სემესტრს. თითოეული სემესტრის ხანგრძლივოვა 15 კვირაა. 1 კრედიტის მოცულობა 25 საათი. პროგრამაში შემავალი საგნები დაჯგუფებულია ძირითად სპეციალობის სავალდებულო საგნებად და თავისუფალ კომპონენტებად. ძირითადი სეპაციალობის საგნები იყოფა საერთო სავალდებულო და კონცენტრაციის საგნებად. კონცენტრაციის საგნების კრედიტების ჯამი შეადგენს 30 კრედიტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

მიმდინარე წლის 27-28 ოქტომბერს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ესპერტიზა“ სააკრედიტაციო შეფასების მიზნით განხორციელდა ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში. ვიზის წინ 25 ოქტომბერს შედგა ჯგუფის წევრების წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხები, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილდა შესაფასებელი სტანდარტები.

ექსპერტთა ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით და ჩატარდა აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ გააცნო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიგნებები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

I სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტი 1.1, 1.2, 1.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კომპონენტი 1.4, 1.5, -მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

II სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 2,1, 2.2, 2.3, 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

III სტანდარტი - 3.1 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან 3.2 ქვესტანდარტით საბაკალავრო პროგრამა არ ფასდება).

IV სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3, 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

V სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 5.1, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 5.2, 5.3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

- **რეკომენდაციები**

- მოხდეს სტუდენტების რანჟირება მათთვის სასურველ უცხო ენაში ცოდნის დონის მიხედვით და შეთავაზებული იქნეს შესაბამისი დონის სასწავლო კურსი;
- მიზანშეწონილია გაიზარდოს სასწავლო კურსის „ფიზიკის“ კრედიტების მოცულობა და მასში ასახულ იქნეს ფიზიკის ყველა საკითხები, მათ შორის მექანიკის ფუნდამენტური პრინციპები;
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტების აქტიურად მონაწილეობისათვის მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაცია;
- ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით საჭიროა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი მექანიზმების ადაპტირება და მათი დანერგვა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასწავლო კურსში „შესავალი სპეციალობაში“ მიზანშეწონილია დაემატოს ტრანსპორტის ისტორიის და განვითარების ტენდენციების საკითხები;
  - სასურველია პროგრამაში საკურსო პროექტის ან საბაკალავრო ნაშრომის სახით საინჟინრო უნარების შემაჯამებელი სასწავლო კურსის არსებობა.
  - მიზანშეწონილია გაიზარდოს „მანქანათა ნაწილების“ და „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ კრედიტების რაოდენობა.
  - პროგრამის პერიოდული შეფასების შემაჯამებელი შედეგები/გამოკითხვის ანალიზის (პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე) შედეგები მიეწოდოს არამხოლოდ პროგრამის ხელმძრვანელს, არამედ პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებსაც (პერსონალური ინფორმაციის გამჟრავნების გარეშე)-სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს და დამსაქმებლებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია 3 რეკომენდაციაზე. კერძოდ, 1.4, 1,5 და 3.1 რეკომენდაციებზე.

რეკომედაცია 1.4-ში მოხდეს სტუდენტების რანჟირება მათთვის სასურველ უცხო ენაში ცოდნის დონის მიხედვით და შეთავაზებული იქნეს შესაბამისი დონის სასწავლო კურსი

უნივერსიტეტის პოზიცია - პროგრამაში გათვალისწინებული უცხო ენების სწავლების სტრუქტურა გათვლილი არის იმგვარად, რომ 20 კრედიტის ათვისების შემდეგ უზრუნველყოფს მისაღწევ სწავლის შედეგებს და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად საჭირო ენის ფლობის დონეს. სტუდენტის მიერ გასავლელი სავალდებულო უცხო ენა და შესაბამისი სწავლების დონე განისაზღვრება ეროვნული გამოცდების შედეგებით, ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციის ფარგლებში კი, სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მეორე უცხო ენის შეთავაზება თავისუფალი კრედიტების (20 კრედიტი) ფარგლებში. რაც შეეხება ხარისხის სამსახურთან შეხვედრის დროს გაჟღერებულ უცხო ენების სწავლების გასაუმჯობესებელ მხარედ მოხსენიებას - ეს ეხებოდა არსებული სილაბუსების მუდმივ განახლების პროცესს, რომელიც პროგრამის განვითარების ციკლის-ერთ ერთი შემადგენელი კომპონენტია. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ წინამდებარე რეკომენდაციის სტატუსი უნდა შეიცვალოს სტატუსით რჩევები პროგრამის განვითარებისთვის, და შესაბამისად 1.4. კომპონენტი შესაძლებელია შეფასდეს, როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებული პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს 1.4 რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის აგუმენტირებულ პოზიციას, კერძოდ მიგვაჩნია რომ უცხო ენების სწავლება წარმოადგენს პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეს. არგუმენტირებული პოზიცია, რომ მე-2 უცხო ენა შეთავაზებული არის თავისუფალი კრედიტების - (20 კრედიტის) ფარგლებში გარკვეულწილად წარმოადგენს ვალდებულებას სტუდენტმა 20 კრედიტი დახარჯოს სავალდებულო უცხო ენაში (რომელიც შესაძლოა არ წამოადგენს მის ინტერესს) და ამავდროულად გამოიყენოს პროგრამის თავისუფალი (20 კრედიტი იმ უცხო ენაში რომელიც მას სურს ისწავლოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტმა ჩააბარა უცხო ენა - რუსული ენა და მას სურს ისწავლოს ინგლისური ენა, მან ჯერ უნდა აიღოს 20 კრედიტი რუსულ ენაში და შემდეგ გამოიყენოს პროგრამის თავისუფალი კომპონენტები (20 კრედიტი) ინგლისურ ენაში.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

რეკომენდაცია (კომპონენტი 1.5) - რეკომენდებულია, გაიზარდოს სასწავლო კურსის „ფიზიკის“ კრედიტების მოცულობა და მასში ასახულ იქნეს ფიზიკის ყველა საკითხები, მათ შორის მექანიკის ფუნდამენტური პრინციპები.

უნივერსიტეტის პოზიცია - სასწავლო კურსი „ფიზიკა“ პროგრამაში ჩართული არის ფიზიკის ზოგადი თავების და კონცეფციების შესახებ ცოდნის მისაღებად. აღნიშნული ცოდნის შემდგომი გაღრმავება ხდება ზოგადტექნიკურ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა: თეორიული მექანიკა 1 და 2 (მატერიალური წერტილის, სისტემების და სხეულის მექანიკის ფუნდამენტური კანონების შესწავლა), მასალათა გამძლეობა (მასალების მექანიკის საკითხების შესწავლა), ჰიდრო და აერომექანიკა, ჰიდრო და პნევმოამძრავები (სითხეებისა და აირების მექანიკა), თერმოდინამიკა და სითბოგადაცემა, ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები. ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციის ფარგლებში, სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია თავისუფალი კრედიტების სახით კურსის „ფიზიკა 2 “შეთავაზება ფიზიკის სხვა ზოგადი განყოფილებების (ატომური ფიზიკა, ფარდობითობის თეორია, ველების თეორია და ა. შ.) კონცეფციების შესასწავლად. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ წინამდებარე რეკომენდაციის სტატუსი უნდა შეიცვალოს სტატუსით რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. და შესაბამისად 1.5. კომპონენტი შესაძლებელია შეფასდეს, როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებული პასუხი: ექსპერთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას იმის შესახებ, რომ ფიზიკის საკითხები გაწერილია სხვა ზოგად საინჟინრო საგნებში, რადგან ზოგადი საინჟინრო საგნები - თეორიული მექანიკა 1 და 2 მასალათა გამძლეობა, ჰიდრო და აერომექანიკა, ჰიდრო და პნევმოამძრავები, თერმოდინამიკა და სითბოგადაცემა, ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები ასევე წარმოადგენს კლასიკურ ზოგად საინჟინრო საგნებს, რომელთა მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი განსაზღვრულია და მრავალი წამყვანი უნივერსიტეტის მიერ აღიარებული. სწორედაც ამ საგნებისათვის პრერეკვიზიტულ საგანს წარმოადგენს ფიზიკა (მექანიკა ნაწილი) და მიგვაჩნია, რომ ის უნდა ისწავლებოდეს ცალკე და უნდა იყოს პრერეკვიზიტი ზემოთ ჩამოთვლილ საგნებისათვის.

რეკომენდაცია (კომპონენტი 3.1) - გაუმჯობესდეს უცხო ენების მიმართულებით უნივერსიტეტის ჩართულობა რომელიც გულისხმობს თითოეული სტუდენტისათვის ცოდნის დონის შესაბამისი სილაბუსის შეთავაზებასა და სასურველი უცხო ენის არჩევის შესაძლებლობის მიცემას.

უნივერსიტეტის პოზიცია - პროგრამაში გათვალისწინებული უცხო ენების სწავლების სტრუქტურა გათვლილი არის იმგვარად, რომ 20 კრედიტის ათვისების შემდეგ უზრუნველყოფს საჭირო ენის ფლობის დონეს. პროგრამის განვითარების ციკლის ფარგლებში ხდება დამსაქმებლის კმაყოფილების პერიოდული კვლევა, რომლის ანალიზის საფუძველზე იგეგმება სასწავლო კურსების არსებული სილაბუსების და კურსის სწავლების პროცესის მუდმივი გაუმჯობესება. რეკომენდაციის საფუძველზე, სტუდენტის და დამსაქმებლის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელი არის მეორე უცხო ენის შეთავაზება თავისუფალი კრედიტების ფარგლებში. აღნიშნული რეკომენდაციით უკვე მოხდა 1.4. პუნქტის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებული პასუხი: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ვიზიტის შედეგად ნათლად გამოიკვეთა უცხო ენების სწავლების აუცილებლობა და საჭიროება. ამასთან, ვიზიტის

დროს გაირკვა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს სტუდენტს მხოლოდ იმ უცხო ენის სასწავლო კურსის შესაბამისი დონის სილაბუსს, რომელიც აქვს ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ბევრმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ სჭირდებოდა ისეთი კადრი, რომელსაც ექნებათ უცხო ენების კუთხით შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია ექსპერთა ჯგუფის მიერ დაიწერა 3.1 რეკომენდაცია. ვინაიდან, 1.4. და 3.1 რეკომენდაცია ეხება ერთი და იგივე საკითხს და შინაარსობრივად ორივეში იგულისხმება უცხო ენების გაუმჯობესება 3.1 რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის პოზიცია სრულიად გაზიარებულია

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“, მიზანია შუალედური რგოლის სპეციალისტის ფუნქციების შესასრულებლად:

- მისცეს მომავალ ბაკალავრს თეორიული ცოდნა საბუნებისმეტყველო, ზოგადსაინჟინრო და სპეციალობის საგნებში;
- გამოუმუშაოს ზოგადტრანსფერული და დარგობრივი კომპეტენციები სატრანსპორტო საშუალებების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) დიაგნოსტიკის პროცესში რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაწყვეტისათვის;
- შესძინოს სატრანსპორტო საშუალების სერვისისა და ექსპერტიზის სამუშაოების წარმართვის უნარი;
- განუვითაროს ჩვევები ეკოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, ეთიკის პრინციპების დაცვით საქმიანობის წარმართვისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულებს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვთ მათ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუების ჩატარებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები განსაზღვრულია სხვადასხვა ჯგუფების მიერ შეხვედრების შედეგად და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარის მიერ. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პოტენციურ დამსაქმებელებს, რომელთა შორის არიან სატრანსპორტო კომპანიები. დამსაქმებლები განსაკუთრებით აღნიშნავენ პროგრამის მიზნების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამის მიზანი მიღწევადია. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ნათლად არის ჩამოყალიბებული. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია პროგრამა, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1)
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“ გააჩნია 8 სწავლის შედეგი, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან. სწავლის შედეგები ჩაშლილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი სამი კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მიხედვით. პროგრამაში ასევე წარმოდგენილია კონცენტრაციის სწავლის შედეგები.
პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია სპეციალობის დაუფლებისათვის საჭირო ძირითადი საინჟინრო ცოდნის მიღების, ტექნიკური მომსახურების უნარების გამომუშავების, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინების და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.
პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, გაზომვადი, მიღწევადი, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს, კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.
აღნიშნულიდან დასტურდება, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და საქართველოს ბაზარზე აღნიშული სპეციალისტების მოთხოვნ.
პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის პროცესის დროს გაცემული რეკომენდაცია და ამოღებულია ორი კონცენტრაცია, რომელიც არ პასუხობდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სფეროს 0716 (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები) მოთხოვნებს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1);
- სწავლის შედეგების რუკა (დანართი 4);
- ხარისხის სამსახურთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის	☒	☐	☐	☐

სწავლის შედეგები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გათვალისწინებული არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან:სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები; შეფასება; აკადემური პერსონალის ჩართულობა; სტუდენტის ჩართულობა; კურსდამთავრებულების ჩართულობა; დამსაქმებლის ჩართულობა

სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. როგორც ვიზიტისას ექსპერთა ჯგუფმა დაადგინა სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების გამოკითხვების, დასაქმების ბაზრის და დარგის განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე.სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები მოიცავს: სასწავლო კურსების შესწავლას და შესაბამისი პრაქტიკული უნარების და ცოდნის ფორმირებას, პრაქტიკებს, დავალებებს და სხვა სახის აქტივობებს. სწავლის შედეგები.

სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ხერხები და მეთოდები: ტესტები, პორტფოლიოები, დავალებები და სხვ. გამოცდების შედეგები და შეფასების მექანიზმი, მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს.

სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი მტკიცებულებებია: დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, გამოკითხვები და კითხვარები, ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები. დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად დადასტურდა მათი მონაწილეობა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებებში რაც ექსპერტა ჯგუფს მიაჩნია ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კუთხით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ფაკულტეტის ხარისხისს უზრუნველყოფის სამსახური ახდენს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზე ადგენენ შესაბამისი ანგარიშს. ანგარიშში ნაჩვენებია რა შედეგები იქნა მიღებული და აქედან გამომდინარე რა ნაბიჯებია გადასადგმელი პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1),
- კურიკულუმის რუკა (დანართი 4),
- შეფასების რუბრიკა და სამიზნე ნიშნულები (დანართი 4),

- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4);
- დარგის საჭიროებისა და დასაქმების ბაზრის ანალიზი (დანართი 7);
- დამსაქმებლებთან, სამუშაო ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ესპერტიზა“ შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №8(21/22) შესაბამისად, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, მათ შორის: ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულიო სასწავლო კურსები -190 კრედიტი. აქედან 2 კონცენტრაცია - თითოეული 30 კრედიტის მოცულობით (I-VIII სემესტრი); თავისუფალი კომპონენტები - 20 კრედიტი-(III, VI, VII, VIII სემესტრი);

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.
პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად. იგი ვითარდება მარტივიდან კომპლექსურისკენ. გაცნობითი ხასიათისა და საბაზისო კურსებს მოსდევს დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები. აღნიშნული ლოგიკური ჯაჭვი გათვალისწინებულია სასწავლო კურსის პროგრამებში კურსის ათვისების წინაპირობებში.
პროგრამა ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა მოსაზრებები, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.
პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის პროცესის დროს გაცემული რეკომენდაცია და ამოღებულია ორი კონცენტრაცია, რომელიც არ პასუხობდა ეროვნული საკვალიფიკაციოი ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სფეროს 0716 (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები) მოთხოვნებს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ).
პროგრამაში გათვალისწინებულია უცხო ენები: რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური. თითოეული უცხო ენის სილაბუსები შედგენილია A2.1, A.2.2, B.1.1 B2.1 დონეების სწავლებისათვის. უნდა აღინიშნოს პროგრამაში უცხო ენების სწავლების სტრუქტურა, რომელიც ხარისხის სამსახურთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ არის პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარე. რადგან ვიზიტის დროს გაირკვა რომ უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს მხოლოდ იმ უცხო ენის სასწავლო კურსის შესაბამის დონის სილაბუსს რომელიც აქვს ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული. სხვანაირად რომ ვთქვათ სტუდენტს, რომელსაც აქვს ჩაბარებული ეროვნულ გამოცდებზე რუსული ენა არ აქვს შესაძლებლობა ისწავლოს სხვა უცხო ენა თუ მისი ცოდნის დონე შესაბამის უცხო ენაში არის უფრო დაბალი ვიდრე არის შეთავაზებულ სილაბუსებში. აღნიშნული საკითხზე კითხვები დაისვა სტუდენტებთანაც. მათთან გასაუბრებამ ცხადყო რომ უცხო ენების სწავლების საკითხი ნამდვილად გასაუმჯოესებელია პროგრამაში. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს სტუდენტების რანჟირება მათთვის სასურველ უცხო ენაში ცოდნის დონის მიხედვით და შეთავაზებული იქნეს შესაბამისი დონის სასწავლო კურსი.
პროგრამა არ მოიცავს საკურსო პროექტებს/საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს საინჟინრო უნარების შემაჯამებელ კურსს. მიგვაჩნია, პროგრამაში საკურსო პროექტის ან საბაკალავრო ნაშრომის დამატება გააუმჯობესებს სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1);
- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოხდეს სტუდენტების რანჟირება მათთვის სასურველ უცხო ენაში ცოდნის დონის მიხედვით და შეთავაზებული იქნეს შესაბამისი დონის სასწავლო კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაში საკურსო პროექტის ან საბაკალავრო ნაშრომის სახით საინჟინრო უნარების შემაჯამებელი სასწავლო კურსის არსებობა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზა“ სასწავლო კურსების სტრუქტურა, მიზანი, სწავლის შედეგები, შინაარსი და შეფასების სისტემა წარმოდგენილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსში შეტანილია ცვლილებები წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რჩევების/რეკომენდაციების შესაბამისად. სასწავლო კურსებში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სალექციო და პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს შორის თანაფარდობა

პასუხობს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. შეფასება წარმოებს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდის კომპონენტებით.
სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში ასახულია სწავლის შედეგები და შეფასების რუბრიკები. სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად. სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის აქტუალურ მიღწევებს. მითითებული ლიტერატურა ძირითადად ახალი გამოცემებისაა, დაფუძნებულია ტრანსპორტის დარგის აქტუალურ მიღწევებზე და საჭიროებებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამას გააჩნია კურიკულუმის რუკა, რომლის საფუძველზე განისაზღვრა კავშირები სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსებს და აქტივობებს შორის. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან და უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამისი დონის ცოდნას და კომპეტენციებს, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობასა და სწავლის გაგრძელებაზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე.
წარმოდგენილ პროგრამაში სასწავლო კურსი „ფიზიკა“ ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში 5 კრედიტის მოცულობით, რის გამოც იგი ვერ იძლევა ფიზიკის ყველა ძირითადი თემატიკის სრულყოფილად გავლის შესაძლებლობას. განსაკუთრებით იკვეთება მექანიკის საკითხების ნაკლოვანება. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სხვა უნივერსიტეტების ანალოგი პროგრამების და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით ფიზიკის კურსი ისწავლება მინიმუმ ორი სემესტრის განმავლობაში და კრედიტების მოცულობა მინიმუმ 8-10 კრედიტს შეადგენს.
აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა გაიზარდოს „ფიზიკის“ კრედიტების მოცულობა, რათა მასში ასახული იქნეს ფიზიკის ყველა სფეროები, მათ შორის მექანიკის ფუნდამენტური პრინციპები.
შინაარსობრივი განვითრების მიზნით სასწავლო კურსში „შესავალი სპეციალობაში“ მიზანშეწონილია დაემატოს ტრანსპორტის ისტორიის და განვითარების ტენდენციების საკითხები.
გარდა ამისა მიზანშეწონილი იქნებოდა გაიზარდოს „მანქანათა ნაწილების“ და „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ კრედიტების მოცულობა, რაც დადებითად აისახება ზოგადსაინჟინრო უნარების განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, ქუთაისი, (აწსუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №8(21/22) (დანართი3);
- აწსუ ბიბლიოთეკა - http://www.library.atsu.edu.ge
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სასწავლო კურსის „ფიზიკის“ კრედიტების მოცულობა და მასში ასახულ იქნეს ფიზიკის ყველა საკითხები, მათ შორის მექანიკის ფუნდამენტური პრინციპები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსში „შესავალი სპეციალობაში“ მიზანშეწონილია დაემატოს ტრანსპორტის ისტორიის და განვითარების ტენდენციების საკითხები.
- მიზანშეწონილია გაიზარდოს „მანქანათა ნაწილების“ და „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ კრედიტების რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზა“ დაშვების წინაპირობის თანახმად სტუდენტი შეიძლება გახდეს:

- სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით.

დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. პასუხობს ბაკალავრიატის დონეს. დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის გაცნობა შეუძლიათ როგორც NAEC-ის მიერ ყოველწლიურად განახლებად საინფორმაციო ცნობარში, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული და ფაკულტეტის მიერ სოციალური ქსელისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით გავრცელებული ინფორმაციით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“(დანართი 1);
- ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მისაღები კონტიგენტისა და მობილობით მისაღები სტუდენტების ადგილების განსაზღვრის შესახებ;
- დადგენილება №94 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან**

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“ იძლევა საშუალებას სტუდენტებმა გარდა თეორიული ცოდნის მიღებისა განივითარონ პრაქტიკული უნარები.
პროგრამა პირველ რიგში ორიენტირებულია პრაქტიკოსი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს საქმიანობის განხორციელებას სატრანსპორტო საშუალებების სერვისულ კომპანიებში, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ სახელმწიფო და კერძო კომპანიებში, დაწესებულებებში, ფირმებსა და ასოციაციებში. ამ მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები.
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები ძირითადად დაფუძნებულია პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სწავლებაზე, რაც აგრეთვე ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.
პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება/მემორანდუმი რიგ ორგანიზაციებთან. გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაცია და პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია პრაქტიკის მიზანი და სტუდენტების რაოდენობა.
დამსაქმებლებმა გაამახვილეს ყურადღება სტუდენტთა სწავლის პროცესში პრაქტიკების გავლის დროს გამომუშავებული უნარების საჭიროების შესახებ.
სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მონაწილეობენ ინოვაციურ პროექტებში, კვლევებში, კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში. ყოველივე ეს ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული ჩვევების, ზოგად კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითრებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა (დანართი 7). https://atsu.edu.ge/index.php/technical-strategic-geo);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები სამრეწველო ორგანიზაციებთან (დანართი 7);
- სტუდენტური კონფერენციის პროგრამები (დანართი 11);

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის დადგენილება № 28(17/18) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 3). https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabchodadgenilebebi?task=document.viewdoc&id=258.
- სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის“ სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები. აღნიშნული სწავლება-სწავლის მეთოდები ადეკვატურია პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსისასთვის.
სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა: ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს. უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვნად განახლდა სასწავლო ლაბორატორიები. ყურადღება ექცევა სწავლის მეთოდებში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ადაპტირებას. სასაწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას პროგრამის მიზნები და სწავლის

შედეგები. წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 1);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი 3).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც არის სამართლიანი, მეტწილად შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან და სააკრედიტაციო სტანდარტებთან.
შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას, ხოლო შუალედური შეფასების ხვედრითი წილი- ჯამურად 60 ქულას. შუალედური შეფასება ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:•სტუდენტის აქტივობა სემესტრის განმავლობაში -არაუმეტეს 30 ქულა;•შუალედური გამოცდა -არანაკლებ 30 ქულა;
კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას კერძოდ:
(A) ფრიადი–91-100 ქულა;
(B) ძალიანკარგი–81-90 ქულა;
(C) კარგი–71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი–61-70 ქულა;
(E) საკმარისი–51-60 ქულა
და ორი სახის უარყოფით შეფასებას კერძოდ :
(FX)ვერჩააბარა-41-50 ქულა, რაცნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტიმუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება და
(F) ჩაიჭრა-40 ქულადანაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
ამასთან, პროგრამის სილაბუსებში გათვალისწინებულია რომ 100 ქულიდან, 30 ქულა ენიჭება სტუდენტის აქტივობას, რომელიც შესაძლოა გამოხატული იქნას დავალებების მიცემით. თითოეული დავალება, ვინაიდან აქტივობის საერთო ქულა შეადგენს 30 ქულას გამისაზღვრება 10 ქულით. დავალება, რომელიც სტუდენტს ეძლევა აქტივობის ფარგლებში შეადგენს სულ 3 დავალების შესრულებას.
ინტერვიურების შედეგად, თავდაპირველად შეფასების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ კითხვები დაესვათ აკადემიურ პერსონალს, მათ აღნიშნეს რომ შეფასების გასაჩივრება სტუდენტებს შეუძლიათ ელექტრონული პლატფორმის „ელექტრონული დეკანატი“-ს მეშვეობით, რომელშიც შეფასების გასწვრივ არსებობს ღილაკი „აპელაცია“, რომლის საშუალებითაც შეფასების გასაჩივრება ხდება. გასაჩივრებული შეფასების შესახებ დაფიქსირებული პრეტენზია, განცხადების სახით ეგზავნება დეკანს, რომლის მიერაც იქმნება კომისია, ვინც ასწორებს თავიდან სტუდენტის ნაშრომს. კომისიის შემადგენლობაში ასევე იმყოფება ის ლექტორი, რომლის შეფასებაც გახდა გასაჩივრების მიზეზი. აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ გასაჩივრების დროს გასაჩივრებული შეფასება უფრო დაბალ ნიშნულზე არ ჩამოდის, შესაბამისად საბოლოოდ ქულა ან იგივე რჩება ან/და უმჯობესდება. აკადემიურ პერსონალს ასევე კითხვები დაესვა პლაგიატთან დაკავშირებით, სადაც მათ აღნიშნეს, რომ პლაგიატის დადგენის შესახებ პროგრამა „Turnitin” არის ჩაშენებული მუდლში, სადაც ხდება ნაშრომის ატვირთვა და აღნიშნულის საშუალებით გაგება პლაგიატის ან/და მისი პროცენტულობის. სტუდენტებთან ინტერვიუირების დროს გამოვლინდა რომ ისინი ინფორმირებულნი არიან შეფასების გასაჩივრების შესახებ, მათ აღნიშნეს, რომ უშუალოდ არც ერთ მათგანს არ გამოუყენებია შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, მაგრამ დაფიქსირებულა უნივერსიტეტში ისეთი შემთხვევა, რომლის დროსაც გასაჩივრებული შეფასება უფრო დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდა, ამასთან სტუდენტები მეტწილად ინფორმირებულნი არიან პლაგიატის მნიშვნელობისა და მისი დადგენის პლატფორმის შესახებ, ასევე აღნიშნეს რომ აღნიშნული პლატფორმა გამოიყენებოდა დისტანციურად სწავლების დროსაც, სადაც დგინდებოდა სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოების ინდივიდუალურობა.
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც უნივერსიტეტის მხრიდან იქნა წარმოდგენილი ჩანს რომ შესაბამისობაშია აღნიშნული სტანდარტი მოთხოვნებთან. კერძოდ, წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტაციაში საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული აქვს, რომ პირველკურსელებთან შეხვედრას აწყობს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომლის საშუალებითაც პირველკურსელებს პროგრამის შესახებ, შეფასებისა და მეთოდების შესახებ ეძლევათ ინფორმაცია. ამასთან, შეფასების შესახებ ინფორმაცია აღნიშნული და დაფიქსირებულია თითოეულ სილაბუსში, ამასთან, ლექტორი ლექციის დასაწყისისას აცნობს

სტუდენტებს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას. ასევე, აცნობს შეფასების გასაჩივრების წესის შესახებ ინფორმაციასა და პროცედურებს.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და პერსონალის დატვირთვის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სტუდენტებს აქვთ ლექტორთან კონსულტაციის საათები გამოყოფილი, რომელიც წინასწარ ადმინისტრაციასთან თანხმდება და კვირაში ორჯერ აქვთ სტუდენტებს შესაძლებლობა დამატებით კითხვების შემთხვევაში მიმართონ ლექტორებს. აღნიშნული ინფორმაცია ინტერვიუს დროს დაადასტურა, როგორც აკადემიურმა პერსონალმა, ისე სტუდენტებმა. ამასთან, აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა და წარმოდგენილი სილაბუსებიდანაც ჩანს, რომ თითოეულ სილაბუსში მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია, რისი მეშვეობითაც სტუდენტებს საშუალება აქვთ ლექციის გარეთ დაუკავშირდნენ ლექტორებს. აკადემიურმა პერსონალმა ამასთან აღნიშნეს, რომ იმისათვის რომ სტუდენტებთან კომუნიკაცია მეტად გამჭირვალე იყოს ისინი იყენებენ ასევე სოციალურ ქსელებსაც, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ უშუალოდ მათთან კომუნიკაცია.
სიახლეების შესახებ სტუდენტები ვებ-გვერდისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შექმნილი მეილის საშუალებით ეცნობათ სისტემატიურად. ვებ-გვერდზე სიახლეების გრაფაში განთავსებულია ყოველდღიურად განხორციელებული ახალი ამბები, ასევე პროექტებისა და კონფერენციების შესახებ ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართი 1 (სილაბუსები)
- დანართი 1 (კურიკულუმი)
- დანართი 8 (მემორანდუმები)
- დანართი 10 (პერსონალის მიმდინარე სემესტრის დატვირთვა)
- დანართი 13 (პერსონალის საქმიანობის შეფასება)
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია (ბრძანება სტუდენტის წახალისების შესახებ)
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია (კვლევითი პროფილის დაფინანსება)
- https://www.atsu.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაში მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

2.4 სტუდენტები ს შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინტერვიუს შედეგად თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ დაწყებულია უცხოენების შესწავლის დაფინანსება, როგორც სტუდენტებისათვის, ისე აკადემიური პერსონალისათვის. ამასთან, აკადემიურმა პერსონალმა ინვერვიუირების შედეგად, აღნიშნა რომ გაცვლითი პროგრამა ფაკულტეტზე გამოყენებული აქვს 4 სტუდენტს და აღნიშნული შედეგის გაზრდაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს.

პროგრამის ფარგლებში, ვიზიტამდე არ განხორციელებულა გაცვლითი პროგრამით სტუდენტების გაგზავნა, მაგრამ როგორც პროგრამის განმახორციელებლებთან შეხვედრისას დგინდება მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სილეზიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, რათა მოხდეს სტუდენტების გაცვლით პროგრამაში ჩართვა. ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაცია, რათა სტუდენტებმა შეძლონ გაცვლით პროგრამაში აქტიურად მონაწილეობა. მოეწყოს სისტემატიური საინფორმაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებს მიაწვდიან ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და გამართულად მუშაობს ონლაინ პლატფორმა (microsoft teems), ამასთან, აღნიშნული პლატფორმა აქტიურად დაინერგა დისტანციურად სწავლების დროს და შემდეგ საუნივერსიტეტო სივრცეში გადასვლის მიუხედავად აქტიურად აგრძელებს ფუნქციონირებას. ამასთან, ფუნქციონირებს სტუდენტთა საინფორმაციო პორტალი (info.students@atsu.edu.ge რომლის საშუალებით სტუდენტს შეუძლია მოითხოვონ ან გააკეთონ განაცხადი მისთვის სასურველი ინფორმაციის მიღებისათვის. ყველა სტუდენტს აქვს კორპორაციული ფოსტა.

სტუდენტებმა ინვერვიუირებისას აღნიშნეს, რომ გამოუყენებიათ სტუდენტური კონფერენციები და მიუღიათ მონაწილეობა, ამასთან, ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა რომ აპირებს მოაწყოს კონფერენცია, სადაც უშუალოდ ჩაერთვება და სხვა სტუდენტებსაც მისცემს საშუალებას მიიღონ მონაწილეობა. სიახლეების შესახებ სტუდენტები ვებ-გვერდისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შექმნილი მეილის საშუალებით ეცნობათ სისტემატიურად. ვებ-გვერდზე სიახლეების გრაფაში განთავსებულია ყოველდღიურად განხორციელებული ახალი ამბები, ასევე პროექტებისა და კონფერენციების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, აღნიშნული პლატფრმების გარდა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა აღნიშნეს რომ კონფერენციებისა და პროექტების შესახებ უშუალოდ დეკანისგანაც იღებენ ინფორმაციას. სტუდენტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს რომ მთლიანად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად ცდილობს ინფორმაცია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს. ინტერვიუირების დროს ხარისხის უზრნველყოფის სამსახურმა აღნიშნა რომ იმისათვის რომ სტუდენტები ყველამხრივ ინფორმირებულნი იყვნენ პროექტებისა და კონფერენციების შესახებ დეკანი უშუალოდ ხვდება სტუდენტებს და აღნიშნულის შესახებ არაერთხელ აწვდის ინფორმაციას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მემორანდუმებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტი კარგად იყენებს დასაქმების პროგრამას, დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დამსაქმებლები დიდად კმაყოფილნი არიან იმ სტუდენტებით, რომლებიც გაგზავნეს კომპანიებში. დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ ერთი პრობლემა, რომელიც სტუდენტებთან ურთიერთობის დროს წარმოეშვათ იყო ენის ბარიერი, ვინაიდან რამდენიმე მათგანი კარგად ვერ ფლობდა ინგლისურ ენას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გაუმჯობესდეს უცხოენების მიმართულებით უნივერსიტეტის ჩართულობა, რათა სტუდენტების ენის ბარიერი შემცირდეს და ამით დაკმაყოფილდეს, როგორც დამსაქმებლის მოთხოვნები ისე გაიზარდოს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის შედეგები.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციიდან გამომდინარე რეკომენდაცია 3.1 რომელიც ეხებოდა უცხო ენების გაუმჯობესებას ამოღებული იქნა რეკომენდაციიდან.

ვინაიდან, 1.4. და 3.1 რეკომენდაცია ეხება ერთი და იგივე საკითხს და შინაარსობრივად ორივეში იგულისხმება უცხო ენების გაუმჯობესება 3.1 რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის პოზიცია სრულიად გაზიარებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართი 1 (სილაბუსები)
- დანართი 1 (კურიკულუმი)

- დანართი 8 (მემორანდუმები)
- დანართი 10 (პერსონალის მიმდინარე სემესტრის დატვირთვა)
- დანართი 13 (პერსონალის საქმიანობის შეფასება)
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია (ბრძანება სტუდენტის წახალისების შესახებ)
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია (კვლევითი პროფილის დაფინანსება)
- https://www.atsu.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გაცვლით პროგრამებში სტუდენტების აქტიურად მონაწილეობისათვის მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაცია;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განახორციელებაში სულ ჩართულია 9 პროფესორი, 25 ასოცირებული პროფესორი, ასევე უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მოწვეული პედაგოგები. დოკუმენტებიდან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრებისას იკვეთება რომ პროგრამას ჰყავს მაღალი კომპეტენციის გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ ხანგრძლივი პედაგოგიური/სამეცნიერო გამოცდილება, როგორც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისე საზღვარგარეთ. წამყვან პედაგოგებს განათლება მიღებული აქვთ საქართველოს და საზღვარგარეთის წამყვან აკრედიტებულ უნივერსიტეტებში. მათ გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები საქართველოს და საზღვარგარეთის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის Scopus-ს და ERISH PLUS-ს მონაცემთა ბაზაში შემავალ ჟურნალებში. პროგრამის ხელმძღვანელები ჯ. ჩ და გ. ლ გამოირჩევიან უნივერსიტეტში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილებით. ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელი ჯ. ჩ არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ

წლების განმავლობაში წაკითხული სასწავლო კურსები, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და შექმნილი სასწავლო–მეთოდური სახელმძღვანელოები სრულ შესაბამისობაშია განსახორციელებელი პროგრამის სწავლის სპეციფიკასთან და შედეგებთან.
ექპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადემიური/მოწვეული, და დამხმარე პერსონალის კომპედენციის და საშუალო ასაკის მიხედვით პროგრამა მდგარდია, თუმცა ახალი კადრების მოზიდვის კუთხით სამუშაოები დასაწყებია.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი	9	9	9	9
- ასოცირებული პროფესორი	25	25	25	25
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით (დანართი 2)
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია (დანართი 5);
- განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები (დანართი 5);
- პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–

სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელი ს კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს, კერძოდ აკადემიური/მოწვეული პერსონალის უცხო ენის დონის ასამაღლებლად სთავაზობს უფასო კურსებს, გარდა ამისა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან ღებულობს შიდა საგრანტო

დაფინანსებას.სახელმწიფო საგრანტო კუნკურსში მონაწილეობისათვის გასაზრდელად უნივერსიტეტის ხარისხის ადმინისტრაციის მხრიდან ხორციელდება საკონსულტაციო და მხარდამჭერი ღონისძიებები.
სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება ამ ერთეულების მუშაობის ანგარიშები, ასევე შიდა შეფასების პროცედურით გათვალისწინებული სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მეთოდები.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის დადგენილებით №41(20/21) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნება წახალისდება ფულადი ანაზღაურებით, კერძოდ 2500 ლარით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი მონაცემები (დანართი 3);
- დეპარტამენტის კვლევითი პროფილი (დანართი 11).
- საინჟინრო–ტექნიკური ფაკულტეტის კვლევითი პროფილი (დანართი 11);
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №41(20/21), 15.07.2021 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ (დანართი 13)
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (დანართი 13)
- აწსუ-ს აკადემიური საბჭო დადგენილება № 65(18/19), 10.07.2019 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისაკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და
- სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ (დანართი 13)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის	☒	☐	☐	☐

პროფესიულ ი განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზა“ უზრუნველყოფს „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიის ბაკალავრის“ კვალიფიკაცაზე გასვლას, რისთვისაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული და ლაბორატორიული სასწავლო ბაზის არსებობა. ამ მხრივ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი როგორც სააუდიტორიო სივრცეებით, ისე ლაბორატორიებით.
უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტებს აქვთ ყველა შესაძლებლობა, არა მარტო ლიტერატურაზე მუშაობის, არამედ სხვა განმავითარებელი აქტივობებში მონაწილება. მაგალითად ბიბლიოთეკას გააჩნია სივრცე, რომლების აძლევს სტუდენტს იმუშაოს ინოვაციურ და შემოქმედებით პროექტებზე. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა სხვადასხვა ელექტრონულ ბაზებზე. პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევენ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა სრულფასოვნად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმძღვანელოები წარმოდგენილია ბიბლიოთეკის ფონდის საცავში. მათი ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის.
საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“ გამოიყენება შემდეგი ლაბორატორიები: ავტომობილების მოწყობილობების ლაბორატორია, თბოტექნიკის ლაბორატორია, შიგაწვის ძრავების ლაბორატორია, მასალათა გამძლეობის ლაბორატორია, ელექტროტექნიკის და ელექტრონიკის ლაბორატორია, ქიმიის, ფიზიკის და სხვა ლაბორატორიები.
უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე აპარატურითა და მოწყობილობებით აღჭურვილი ლაბორატორია-სახელოსნო რომელშიც განთავისებულია: ავტომობილის დიაგნოსტირების, სერვისისა და რემონტისათვის საჭირო მოწყობილობები და სივრცეები.
სიახლეს წარმოადგენს უნივერსიტეტის სასწავლო კლასების აღჭურვა თანამედროვე სწავლების კომპიუტერული ტექნოლოგიებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის VII, IX კორპუსებში არსებული სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ. პროგრამის ბიუჯეტი დათვლილია 16 სტუდენტზე. მისი მოცულობა შეადგენს 37 ათას ლარს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სტუდენტურ სტიპენდიას, კომუნალურ, გადასახადებს და სხვ. ხარჯებს. უნდა აღნინიშნოს, რომ პროგრამის ინფასტრუქტურის, ასევე აკადემიური პერსონალის განვითარების ხარჯები პროგრამაში გათვალისწინებული არ არის. ამ მიმართულებით კითხვები დაისვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომლებმაც დაგვიდასტურეს და წარმოადგინეს მტკიცებულებები უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო პროექტებში დაფინანსების ხარჯების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“ ბიუჯეტი (დანართი 9);
- პროგრამაში ჩართული პერსონალის შიდა საუნივერსიტეტო გრანტების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესი წარიმართა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობით. კერძოდ, ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის ხელმძღვანელებმა, საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტისა და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა გამართეს შეხვედრები პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით შესასრულებელი სამუშაოების გრაფიკი. სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა კვლევა საგანმანათლებლო პროგრამის სხვა უცხოურ ანალოგებთან შედარების (ე.წ „ბენჩმარკინგის“ განხორციელების) მიზნით. მოხდა პროგრამის მიზნების, შედეგების, შესაბამისი სასწავლო კომპონენტების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა. დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები, თემატიკა და განახლდა ლიტერატურა. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლების მიერ შემოთავაზებული საგანიც. თითოეულ სტანდარტზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფი, შესაბამისი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ სამუშაო ჯგუფში ახდენდა განხილვას, საბოლოო ვერსიის შემუშავებას და პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირება ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით. უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას: 1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; 2. კვლევის განვითარების პოლიტიკა; 3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხორციელდება, ასევე, სამი პროცედურის საშუალებით: საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა; 2.საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; 3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. პროგრამა ექვემდებარება პირველ პროცედურას და შიდა შეფასება წარიმართა სამ ეტაპად: 1. იდეის განხილვა, ხელმძღვანელების შერჩევა–დამტკიცება; 2. საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შეფასება; 3. პროგრამის და მისი შემადგენელი კომპონენტების (კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, სილაბუსები, დანართები და სხვა) შემუშავება, განხილვა და დამტკიცება. პროგრამა შემუშავდა დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით და განხილულ იქნა დეპარტამენტის სხდომაზე. ცალკეული სილაბუსების ძირითადი შინაარსი და სწავლის შედეგები იხილებოდა დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე დაწესებულებამ სათაანდო ეფექტურობით მოახდინა სასწავლო პროცესის ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელება, ამასთან ერთად

ხორციელდებოდა სააუდიტორიო სწავლებაც პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსების შემთხვევაში. თუმცა, ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით საჭიროა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი მექანიზმების ადაპტირება და მათ დანერგვას. ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკისა და მექნიზმების შემუშავება მეტად მნიშვნელოვანია მიმდინარე პანდემიის პირობებში და თანამედროვე ციფრიზაციის ეპოქაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია"(აწსუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის დადგენილება; №8(21/22) https://atsu.edu.ge/index.php/acadcouncil-separator/akad-sabcho-dadgenilebebi
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეზენტაციის მასალები;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- შიგა შეფასების დასკვნა;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით საჭიროა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი მექანიზმების ადაპტირება და მათ დანერგვას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილია გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წინამორბედი საბაკალვრო პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 22/12/2020, №1219694 გადაწყვეტილებით. პროგრამული აკრედიტაციის დროს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაიცა 11 რეკომენდაცია და 7 რჩევა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება მოხდა შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ამასთან, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება გაკეთებული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მიერ. მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ და დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობები.

საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტების მიზნით 2022 წლის 17 მარტს გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. შეხვედრიდან გამომდინარე, პროგრამის მოდერნიზირების პროცესში, განახორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის გაძლიერება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისად, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა 0716 „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერია“ .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 დეკემბრის №1219694 გადაწყვეტილება;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- გარე კოლეგიალური შეფასების დასკვნა;
- პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის კულტურის მდგრადი განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობა დაფუძნებულია საერთაშორისო მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარებაზე, ხარისხის სისტემაში გამოყენებულია შესაბამისი პოლიტიკები, პროცედურები და ინსტრუქციები. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა შემუშავდა Bath Spa University-ის გამოცდილების გაზიარებით. ამასთან, შიდა ხარისხის სისტემის განვითარებაში ESG-ის სტანდარტების იმპლემენტაციის ხელშეწყობისათვის შემუშავდა პროექტი, რომლის ფარგლებში ჩეხეთის პრაღის სიცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებისათვის. მობილობისა და კრედიტების აღიარების პროცედურების განვითარებისათვის და თანამედროვე მიდგომების დასანერგად უნივერსიტეტი თანამშრომლობს London Middlesex University-თან. ხარისხის სისტემის განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივი მიდგომების დასანერგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სხვადასხვა ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2018 წლის იანვარში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურის იმპლემენტაცია. მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა 2011-2017 წლების პერიოდის შეფასება შემდეგი აქტივობების/ღონისძიებების მიხედვით: 1. პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებლი, 2. პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები, კერძოდ, პროგრამის გარე შეფასების (წინა აკრედიტაციის და მოწვეული გარე ექსპერტის) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები; პროგრამის შიდა შეფასების (სტუდენტთა გამოკითხვები, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ურთიერთდასწრება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები და ინტერნაციონალიზაცია; დაწესებულოების სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები; პრაქტიკა და კვლევითი პროექტები; პროგრამის

მატერიალური რესურსები; 3. პროგრამის SWOT ანალიზი. გამოყენებული ინდიკატორების მიხედვით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურებმა წარადგინეს რეკომენდაციები პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის. 2011 წლიდან ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ყოველწლიურად დგებოდა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც განიხილებოდა შესაბამის დეპარტამენტებზე, ფაკულტეტებზე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და გამართულად მუშაობს ონლაინ პლატფორმა (microsoft teems), ფუნქციონირებს სტუდენტთა საინფორმაციო პორტალი (info.students@atsu.edu.ge რომლის საშუალებით სტუდენტს შეუძლია მოითხოვონ ან გააკეთონ განაცხადი მისთვის სასურველი ინფორმაციის მიღებისათვის. ყველა სტუდენტს აქვს კორპორაციული ფოსტა.

ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვების წარმმართველ პირს/სტრუქტურას წარმოადგენს პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; გამოკითხვის სახე, ფორმა და კითხვარები განიხილება და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ; დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელი; გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების ანალიზს (დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს. პროგრამის შემდგომი განხორციელების ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლავაც გამოიყენებს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით განსაზღვრულ მიდგომებს. პროგრამის პერიოდული შეფასების შემაჯამებელი შედეგები/გამოკითხვის ანალიზის (პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე) შედეგები მიეწოდოს არამხოლოდ პროგრამის ხელმძრვანელს, არამედ პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებსაც (პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე)-სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს და დამსაქმებლებს.

დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან შესაბამისობის კუთხით პროგრამა შედარდა სხვა უნივერსიტეტების პროგრამებთან, რაც მობილობის აუცილებელი პირობაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“(აწსუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის დადგენილება; №8(21/22) https://atsu.edu.ge/index.php/acadcouncil-separator/akad-sabcho-dadgenilebebi
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეზენტაციის მასალები;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- შიგა შეფასების დასკვნა;

- გარე შეფასების დასკვნა;
- უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები/სხდომის ოქმები;
- დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვის შედეგები;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის პერიოდული შეფასების შემაჯამებელი შედეგები/გამოკითხვის ანალიზის (პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე) შედეგები მიეწოდოს არამხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელს, არამედ პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებსაც (პერსონალური ინფორმაციის გამჟრავნების გარეშე)-სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს და დამსაქმებლებს.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მამუკა ბენაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

გივი სანაძე

ია ნაცვლიშვილი

ლიანა ზაგაშვილი

Liana Zagashvili 01001078504

Digitally signed by Liana Zagashvili
Date: 2022.12.09 16:23:02